

გაზეთის შასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნილობით:
და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კა.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საღივ ერთის წლისისა მაგზავნილობით — 3 შაური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საქართველის მთლიანი მთავრობის მიერ დატანილი
 ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
 შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭედილის სა-
 ლში.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ. ВЪ
 контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
 სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
 ზრისის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კა.

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დრო-
 ბის“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზე-
 თის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ
 ეს ფული.

მმართველობის განკარგულება.

სენატის ბანება სიმართლის მინიჭებაზე სა-
 მებრელოს თავად-აზნაურთადმი, რომ ამოი-
 რჩიონ თავიანთი მინდობილნი.

მისმა იმპერატორებითა შმალესობამ, ძვე-
 კასის ნამესტიკმა, ამ წლის სექტემბრის 4-ი-
 დან, ძვეკასის კომიტეტის თავ-მჯდომარეს აც-
 ნობა, რომ მისის შმალესობის უქვეშევრდომ-
 ილესწარდგინებაზე (დოკლადზე) სამებრელოს
 თავად-აზნაურობის თხოვნაზე, რომ იმათ მიე-
 ცეთ უფედის მარშლის ამორჩევის სიმართლე,
 ხელმწიფე იმპერატორმა ყოველად უმოწყა-

შინაარსი: — მმართველობის განკარგულე-
 ბა: სენატის ბრძანება. — პოლიტიკა: ანგლია. შრან-
 ცია. იტალია: პაპის ენციკლიკა. მსხალა. ტელეგრამ-
 მები. წარსულიდა მიმავალი ინგილოების ცხო-
 ვრება. სერძობობითი განცხადება.

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოსცემაზე

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს
 წლებში გამოდიოდა.

ეს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძნო-
 ბას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტადნათ დრტინადა: თუ გამოერეოდა იმერუ-
 ლი ლექსთა-თხზვა, ეს ქართლელებს ეხოთირებოდათ და თუ ქართლული ლექსთა-თხზვა
 იყო, ეს იმერლებს ეხოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზო-
 ვადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამოართულა. რაოდენიმე ათი წე-
 ლი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საქაროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა და-
 დგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადო-
 ების დრტინას მხოლოდ დრო განაქარებს. „დროების“ ნაკლულევენება ეს კი არა, უფ-
 რო სხვა იყო. ის ვერ აქცევდა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრავ-
 ვალს გვარს ცელილებსა და საქმეებს; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ
 აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დიდი ინტერესი. პი
 რა იყო უმთავრესი ნაკლულევენება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განმავლო-
 ბაში ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ,
 და სამსჯავრო ცელილებაც, ეს არის, კარზე მოგედგომია და კარგი სამართლის შემოტა-
 ნით უნდა დაავიგინოს ბატონ-ყმობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში
 მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფ-
 ლო შკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრესს ცელი-
 ლებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნენ. შოველს იმათგან თავისი მნიშვნე-
 ლობა აქვს ცხოვრებაში. შველა ეს დიდა და მომცრო ცელილებები ადრე თუ გვიან სრუ-
 ლად შესვლიან ჩვენს ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამი-
 სთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. ზაზეთიც
 რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც
 ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლენების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე.
 ამ მოვალეობის ვრცლად ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რე-
 დაქცია მაინც, შეძლებისა მებრ, ეცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოვეუ-
 ცხადოთ „დროების“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამს-
 ჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი სამსაჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოსაწერი შასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნილობით:
და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კა.
სამის თვისა	2 — 50 კ. 2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხა-
 ნის ქუჩაზე, ბეჭედილის სახლში.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: ВЪ Тифлисъ. ВЪ
 Контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ლესად გადასწყვიტა: კომისიაში ნაქონები
 დოკუმენტებით ცნობაში მოიყვანონ ის თავ-
 ვად-აზნაურთ შთამომავლობის პირნი, რომელ-
 თაც ნამსახურობით და ადგილ-მამულობით
 შეუძლიანთ, თავად-აზნაურობის დამტკიცების
 შემდეგ, მონაწილეობა ჰქონდეთ ამორჩევაში,
 მასუკან ნება მიეცესთ ამორჩევისა კენჭით თავ-
 ვად-აზნაურთ წარმომადგენლისა; ამ ამორ-
 ჩეულთ, არ ეწოდებათ უფედის მარშლები. არა-
 მედ ეწოდებათ თავად-აზნაურთ მინდობილნი
 (уполномоченными дворянства), მიეთვისებათ
 იმათ თავად-აზნაურთ უფედის მარშალთ სიმა-
 რთლე (права уѣздныхъ предводителей дво-
 рянства) იმ გვართ 1-ად, რომ, ეს მინდობი-
 ლნი დარჩნენ თავთავის ადგილას მომავალ
 საზოგადო ამორჩევამდის; 2-ედ რომ სამე-
 გრელოს თავად-აზნაურთადმი მინიჭებულნი სი-
 მართლე ამორჩევისა არი ყოს წინათვე გადაწ-
 ყვეტილობა იმათის თავად-აზნაურობის წო-
 დების დამტკიცებისა და უკანასკნელად 3-დ,
 რომ კომისიის საქმეების გათავების შემდეგ
 და იმათის დამტკიცებისა, სამებრელოს ამო-
 რჩევა მოხდებოდეს თან შეერთებით საზოგა-
 დოთ გუბერნიის ამორჩევასთანა და კანონე-
 ბის საზოგადო საფუძველითა სწარმოებდეს.

პოლიტიკა.

ანგლია. გაზეთის „თაიმსის“ აზრი
 რომის საქმეზე. ამ გაზეთში აი რა არის
 დაბეჭდილი: „ომი დაწყდა, ის ითხოვს ან სიკ-
 ვდილს, ან დარჩენას. როგორც სჩანს დიდხანს
 არ გასტანს და ისევე მალე დაწყარდება მშვი-
 დობიანობა; რასაკვირველია, ბარიბალი თავ-
 ვანწირვით იმოქმედებს; მაგრამ იმისი სიმამ-
 ცე არ კმარა უძლეველის დაბრკოლების შე-
 სამუსრავათ. თუ რანაირათ გადაწყდება რომ-
 მის საქმე, ამისი შეტყობა იმდენათ ძნელი
 არ არის, რამდენათაც ძნელია იმისი შეტყო-
 ბა, თუ რა მოხდება შლორენციაში. მდებალ
 ხალხს ომი უნდა; სალდათები და მთავრობის
 კაცები კი ამ აზრზე. დგანან: ომზე სიტყვაც
 არ ითქმება; ძალა ნაპოლეონის ხელშია:
 უნდა ომს დაიწყებს, უნდა მშვიდობიანათ
 დაბოლოებდეს საქმეს. ნაპოლეონს ყველა-
 ზე უფრო ისა ჰსურს, რომ თავისი ჯარი ჩი-
 ვიტა-მეკიაში დასტოვოს; მაგრამ თუ ძალას
 დაატანენ, მაშინ წინ გასწევს და ეს ჯარი პვე-
 ნინის ნახევარ კუნძულზე ძლიერადოსილი გა-
 იელის ერთი თავიდან მეორე თავამდის.
 ამას რა ფიქრი უნდა. მენაბრვას მიანდეს სა-
 მინისტროს შედგენა. თუ იმან ეს მინდობი-
 ლება ვეღარ ასრულა, მაშინ ორში ერთი
 უნდა მოხდეს: ან მიტორ-მმანეღმა ტანტ-
 ზე ხელი უნდა აიღოს, და ან მორდინის და
 ძრისის უნდა მიანდოს სამინისტროს შედგენა;
 ეს უკანასკნელი განკარგულდება ნიშნავს დი-
 დის ომის განცხადებას. პი რა მდგომარეო-
 ბაში ჩივარდა იტალია, იმისგამო რომ იმას
 გულმაგარი და გადაწყვეტილებით მოქმედი
 მთავრობა არა ჰყავდა. ამისთანა ამბავი დი-
 დათ სამუხებარა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა
 ვთქვათ, რომ როგორც სჯობდა, ნაპოლეონ-
 ნი, აქამდის ისე მოქმედებდა. პირჩია საუკე-
 თესო გზა, რომ დაკარგული ხალხის სიყვა-
 რული ისევე მოვარებინა. იმპერატორმა ნა-
 პოლეონმა თუმცა გამოაცხადა, რომ ჩივიტა-

მეკიაში ჯარის გაგზავნაში იტალიის საწინა-
 აღმდეგო არა არის რაო, მაგრამ საეჭვოა, რომ
 იტალიელები დაერწმუნონ ამისთანა სიტყე-
 ბსა.

— შენიღებმა რომ მანჩესტერში კა-
 ცები დახოცეს, იმათ სამართალი ენლა გა-
 დუტრეს. ნაფიცებმა ალლენი, ლარკინი, შო-
 რი, ზოულდი და მაჩირი დამნაშავეებათ გამო-
 იყვანეს. მს დამნაშავეები წარმოდგენენ ფენ-
 ზედ და ყველამ რაოდენიმე სიტყვა უთხრა
 მსაჯულებს. აღენმა სთქვა, რომ მე დანაშაუ-
 ლი არა მაქვსო და პოლიციის სერჟანტის ბრე-
 ტის სიკვდილი შეინანა. მე შეწყალებას არ ვით-
 ხოვო და მამულის გულისათვის სიკვდილი
 მინდაო, იმ მამულის გულისათვის, რომლი-
 სათვისაც მრავალმა ათასმა კაცმა თავისი თავ-
 ვი შესწირა და სისხლი დაღვარა. მაჩირი
 ამტკიცებდა, რომ მე სერჟანტის მოკვლის
 დროს იქ არ ვიყავიო. ზოულდმა და შორმა
 ამერიკის ელჩი განჰკიცხეს: რატომ ჩვენზედ
 შემწეობა არა იხმარა რაო. შორმა შესძახა:
 ირლანდიას გაუმარჯოსო! სხვა დამნაშავეებმაც
 ეს შესძახეს. როდესაც დამნაშავეებმა ლაპა-
 რაკი გაათავეს, მსაჯულმა გამოუცხადა, რომ
 ისინი სიკვდილით უნდა დაისაჯნენ და შეწყ-
 ყალბების იმედი აღარ უნდა იქონიონ. დამნა-
 შავეებმა მდუმარეებით მოისმინეს ეს სასჯე-
 ლი, თავისს მოსარჩლეებს (ადვოკატებს) მხუ-
 რავალეს და მადლობის გულით ხელი ჩამოა-
 რთვეს და ზალიდგან გამოვიდნენ ამ სიტყე-
 ბის ძახილით: „ღმერთი იყოს თქვენთან ირ-
 ლანდიის ქალწო და კაცნო“.

შრანსია. სანაციონალნო გაზეთში სწე-
 რენ 2 ნომებერს პარიჟიდან: „ღღეს მონ-
 მარტრის სასაფლაოზედ ეპარო ხალხი (ბურჟ-
 უაზია) შეიკრიბა და ლოდფრიდი ძავენიაკის
 საფლავი ყვავილებით მოფინა. ამ ხალხს რა-
 ლაც დემონსტრაციის მოხდენა ჰსურდა. პო-
 ლლიციამ ეს რომ შეიტყო შემოსხენებულს სა-
 ფლავს—გაზეთი „Reforme-ის რედაქტორს-ჯა-
 რი შემოარტყა და ხალხს ნება არ მისცა სა-
 საფლაოზედ დარჩომილიყო. ხალხი აგრევე
 იყო დანიელ მანინის საფლავზე. მაგრამ პო-
 ლლიციამ საქაროთ არ შერაცხა უფ. შილი
 შირარდენი მაინც დაეტუსლებინათ, რომელ-
 მაც გამოაცხადა, რომ არავის უფლება არა
 აქვს დამიშალოსო ჩემი მეგობრის საფლავის
 ყვავილებით მოფინაო.

ზაზეთში „Neue freie presse“ სწერენ,
 რომ ამ ორიოდ დღეებში პარიჟში პოლშე-
 ლებს მოლაპარაკება ექნებათ დემონსტრაცი-
 ის მოხდენაზედ. მოთავეთ თავი ლერნ სა-
 პევა იქნება—ზალიციის მარშალი, მოპატი-
 ვებულნი არიან პოლშის პირველის გვარის
 შვილები, რომელნიც პესტრის, პრუსიის და
 რუსეთის მფლობელობის ქვეშ არიან. ამ დე-
 მონსტრაციით პოლშელებს სურთ, რომ
 მთელს მეროპას განუტყუდონ თავიანთი
 აზრი და მეცადინეობა პოლშის შესახებ. ამბო-
 ბენ, ვითომც ამხედ შრანცია და პესტრია
 თანახმა იყოს და იმათგან სწარმოებდეს ეს
 დემონსტრაცია.

იტალია. პაპის ენციკლიკა (პაპის მიწერილობ-
 ბა საქმეებოთ მთავარების კომპოზიტთან და ეპის-
 კოპოზებთან) მოკითხნთ უპირველეს ადგილ-
 ებს პაპის ენციკლიკიდან, რომელიც პირ-IX-მ,
 ეხლახანს გამოაცხადა: „ღირს პატიეცემულნო

მხარე! სალამი თქვენ და სამოციქულო კურთხევა! ღირსპატივცემულნი მხარე! მიმო- ავლეთ თელი თქვენ გარეშე და თქვენ იხი- ლათ და გულ—მწუხარებით თავს დას- ტირებთ საძულველთ, საძაგვლთ საქმეთა უფ- რა უმეტესად საბრალე იტალიის დამორგუნ- ველთა. ხოლო ჩვენ ფრიად გულომობი- ერი მოვიდრეთ თავსა ჩვენსა გამოუ- თქმელ ნების წინაშე უზენაესისა; მას ნებადა, რათა ჩვენ გვეცხოვრა ამა უბედურთა დღეთა- შინა, ოდესაც რამდენთამე პირთა მეცადინე-ობით, სახელდაბ იმ პირთა, რომელიც უხელ- მძვინვარებენ სვესა შავ-ბედ იტალიისასა, იქ სთ- რავუნენ უფლის მცნებთა და წმინდა ეკ- კლესიის კანონთა და ძლიერა მოსილი უბე- დურება დაუსჯელათ აღმადლებს თავსა თვის- სა. მსე არს წყარო ყოველთა უსამართლოე- ბათა, უბედურებათა და დამხობათა, რომელ- თაცა ჩვენ უყურებთ დიდის გულომწუხარებითა. ამან აღადგინა მრავალი სურვილი კაცთა, რომ- ელნიც ვლენან უბედურებასა შინა დროშითა ეშმაკისათა, შუბლთა ზედა რომელთაცა არს წარწერა: „სიცრუე“—აღადგინა სურვილი კაც- თა, რომელნიც განადვილებენ ამღვრულთადასა, რომელნიც ბავთა თვისთა მიაქცივენ ცათა მიმართ ღვთის გამობითა, რომელთაცა სძულთ და სთრავუნენ ყოველსავე წმიდასა, და რომ- ელნიც ღვთისა და კაცის კანონთ სიძულე- ლითა, ვითარცა მგელთა დამშუღლთა, სწყურ- რიანთ სისხლი კაცისა, საზიზღარ ქმნილთა საქმეთა მიერ წარწყმედენ სულთა თვისთა და სცდილობენ გამოიტანონ უსჯულო სარ- გებლობა თვისთა ბოროტ-მცბიერობათაგან და ძაღლბუნებთ ისაკუთრებენ სხვათა ამ კუთ- ვნილთა; ღარიბთა და უპოვართა სჩაგვრენ, ამრავლებენ ქვირეთა და უბატონოთა ობო- ლთა; სამართლიანთ სცარცვენ და სამართა- ლზე უარს ეუბნებიან, აღმადლებენ და იბ- რალებენ არა წმიდათა და გულის განხრწნი- ლებით სირცხვილელთა მეცადინეობენ განა- ლვიდონ ავნი გულის თქმანი საზოგადოების დი- დათ შესაცდენათ. ამა დაღუპულთაგანა ვართ ეხლა გარემოდებული, ღირს პატივცემულნი მხარე. ამა უბედურებათა, ეშმაკულის სულით შეპყრობილთა, უნდათ აღმართონ დროშა სიცრუისა ზღუდეთა ზედა ჩვენის სათნაყოფ- ელისა ქალაქისათა, წმიდა პეტრეს ტახტისა- თანა, სიმართლისა და კათოლიკობის ერთო- ბის შუაგულში. ხოლო პიემონტის მმართვე- ლობა, რომელსაც უნდა დაეყენებინა ამ გე- ვარნი კაცნი, ურცხვით, ცხადთ ეწევა მათა, საღმარა იარაღს აძლევს და ყოველსა საქი- როსა, და უადვილებს ამ ქალაქსა შინა შე- მადსკლასა. ხოლო შეძრწუნდნენ იგინი, ამა- ლლებულნი უადრესს ხარისხსა ზედა სამოქ- ლაქა უფლებებისა, რამეთუ თავისის ბიწიერის მოქვედებითა თავს დაატყდებთ ეკლესიის განკიცხვა და რისხვა. მთუცაღა გულის ღმობი- ერებით ჩვენ არ დავმგვრით ლოცვად შუ- ლისამიმართ შოვლად-სახიერისა, ვედრებითა ჩვენისა ყოველთა სულისთა, რათა წარმართს მან ეს უბედურნი სწორსა გზასა ზედა სიმარ- თლისა და გამოხსნელ შენანებისასა; მაინც ჩვენსეღარ დაეადუმებთ საშიშროებათაზედა, რომელითაც ჩვენ შთავეარდებით ამა ყამსა შინა ჩვენთა გარემოცულისა, სიბნელისასა. აღსაგებ დიდის სიმშვიდითა სულისათა ჩვენ მოგვლოდებით მომავალთა ამბავთა, თუმცაღა იგინი უწინდელსაგარ მოხდნენ ბოროტთ ცბიერებით, ცილის წამებით, საიდუმლო მოქ- მედებით და უსჯულო სიცრუითა. ღვათყა- რებთ სრულიად ჩვენს სასიოებასა და სრული- ად ჩვენს იმედსა ღმერთსა ზედა, ჩვენს მფარ- ველსა და პატრონსა ზედა, რომელი მოგვად- ლებს ჩვენ სულის სიმხნესა, რათა მოვითმი- ნოთ ჩვენზე მოსულნი მანქანებანი და რომ- ელი არ მოითმენს, რათა მსასიოებელი მისნი დაიმხნენ, ხოლო დამლის ბოროტ-განზრ- ხვთა არა წმიდათა და დასჯის ცოდვილთა; ხოლო ჩვენ არ შეგვიძლიან, ღირს პატივ-

ცემულნი მხარე, რომელ არ გაჩვენოთ უწინარეს თქვენ და შემდეგ ყოველთა მორ- წმუნეთა, ჩვენ სასულიერო პატრონობაზე მონდობილთა, სამწუხარო და საშიშრო მდგ- ომარება, რომელშიაც შთავეარდნილი ვართ უპირატესად პიემონტის მმართველობის მეცა- დინეობითა.

მსმალმ. ბავთში „Norddeutsche Zeit- tung“ სწერენ შემდგომს ამბავს: ძანდიის საქ- მზედ მოლაპარაკება მეროპის სახელმწიფო- ებს შორის ხელმოვრეთ გაცხადდა და ამი- სათვის არ შეიძლება, რომ აღმოსავლეთის საქმეს ყურადღება არ მივაქციოთ. შარშან- დელს აქეთ აღმოსავლეთის საქმეს არაფერი გაუ-ჯობებდა არ დასტუობია. ნაპერწყლების აქა-იქ ელვა გვიმტკიცებს, რომ ულკანის (ცეცხლის მთა) ისევ ღვივის და უქვევლათ ჩქარა როდისმე იფეთქავს.

ძანდიის კუნძულზედ უწინდელივით ძლიე- რი ბოძოლაა. დიდა ევზირის პლი-ფაშის აღ- თქმამ და დაპირებამ ისე ეერა გაწყურა კან- დიელბთან, როგორც მეგობრის ჯარის შუ- ბმა და ტყვიამ. ამ აღთქმამ პირ, იქით კანდი- ელები დააჯერა, რომ მსმალმ უძლური და სუსტა ყოფილა. მხლა კანდიელები თხოუ- ლობენ, რომ უსათუოთ საბერძნეთთან შეე- რთდნენ. საბერძნეთის მცხოვრებლებიც თუმც თაე-დადებულნი არიან თავის ძმების კანდი- ელებისათვის, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზები აყენებენ იმათ უკან; ჯერ ჯარის შეიარაღებას მოუნდა მმართველობა, მერე ფულის სესხებას შეუდგა. ჩქარა მოვა ის დრო, რომ ყველა კანდიელების სურვილის ასრულებას შეუდ- გება.

მსმალმს ჩრდილოეთის მახრებშიაც უთა- ნხმობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა. მთუცა სერბიის მთავარმა მიხეილმა თავის სიტყვაში მსმალმს ელჩებთან წარმოსთქვა, რომ ჩვენ მშვიდობიანობა გვინდაო, მაგრამ სერბიის მზადება გვიმტკიცებს, რომ სერ- ბიელები მომავალს სხვაფორე უყურებენ და დიდი საქმეების ჩადენას აპირებენ. სერბიის მეზობელი მხარე ბოლგარიაც მშვიდათ არ არის. იქ მთებში ისევ ბოძოლაა ქრისტიანებს და ოსმალებს შორის და ზამთარს არ უშინ- დებიან. წვეს ხალხის ადგომამ ბოლგარიაში ძლიერ გაიწევა. პორტა თავისთავით არ აპი- რებს ბოლგარია სხვა სავსასლო მხარეების სწორე განადოს, და ეს საფიქრებელია, რომ ბოლგარიელები, როდესაც დროს ჩაიგობენ, დიდი და პატარა ფეხზე წამოდებებიან. პო- რტაც წინათვე გრძობს, რომ ეს ხალხის ად- გომა უსაოათუ და ამისთვის, რაც შეუძლიან, ემზადება და ჯარებს აგროვებს. ამ ერთი კე- რის წინათ იმან ბრძანება გასცა, რომ ოს- მალბების უმეტესი ნაწილი შეიარაღდეს, მი- ლიციას უძახის. მერეთვე გამართა ბანაკები იმ ადგილას, სადაც არიან გადაჯვარდინებუ- ლი გზები ბოლგარიის, ბოსნიის და ბერკო- გოვინისაკენ მიმდინარნი, და ჯარები დააყენა. მთუ რომ ყველა უკმაყოფილო სლოცენები, ვინცკი მსმალმს მახრებში არიან, შეერთდ- ნენ და პირი მისცეს ერთმანეთს ექვი-არ უნ- და, რომ ერთს დიდს რასმე საქმეს მოახდენ- ნენ, და რით დაბოლოვდება, ამის გაგება ჯერ არ შეგვიძლიან.

მსმალმთში ყველგან ხალხი ერთი მეროპს წინააღმდეგი შეიქმნა. მეროპა, მართალია, აგ- რე რიგათ ყურადღებას არ აძლევს აღმოსავ- ლეთის საქმეს, რადგან სხვა უფრო მძიმე სა- ქმეები აქვს გასარჩევნელი, მაგრამ ძლიერ სა- შიშარია აღმოსავლეთის მდგომარეობა. ბული- ცოტა ამით შეიძლება დაიმშვიდოს კაცმა, რომ ზამთარი მოდის, გზები ძნელი საეღონი შეიქნებიან აღმოსავლეთ მეროპაში და ამის- თვის ქულზე კაცის ადგომა და ძლიერი ომი შეუძლებელია. მნახოთ პორტა როგორ ისარგებლებს ამ ჰაიისაგან მიჩიქებული მშვი- დობიანობით. ამ ზამთარს ამ ორში ერთი იქნება: ან ყველგან ხალხს დაამშვიდებს პო-

რტა თავის მეცადინეობით, ან არა და ისე იფეთ- ქებს ხალხის ადგომა, რომ ოსმალების მფლ- ობელობას პირქვე დაამხობს და მთელ მე- როპის საფუძველსაც შეარყევს: მოსკოვის ვედროსტეტში იწერებიან მოსტანტინებოლი- დგან, რომ მსმალმს მმართველობა უსაქ- მოთ არა არის. ის დასავლეთის მეგობრე- ბის შეწყვეთით და იმათგან ნასესხები ფულე- ბით აკეთებს ყველგან რკინის გზებს. ამ გზე- ბის ქსელი ჩქარა გაეშვება მეროპის მსმა- ლოში და ამ სარგებლობას მოიტანს, რომ სლოცენების მახრებში საჩქაროთ ჯარები გა- დავლენ, სლოცენების ერთმანეთთან დაახლო- ვა გაძნელება და თუ ადგომა იფეთქებს ჩქა- რა მოსპობა. მერეთვე რუსეთი თუ ომს გა- მოუტყდადებს იმისათვისაც მზათ იქნებიან.

მთელით სჩანს, რომ მსმალმ ძლიერ შიშ- ობს და ძლიერაც ემზადება სამართა. მოს- ტანტინებოლის ციხის მცველი ჯარი, ოთხი დასტა ახლათ შემოღებულნი თოფებით არის შეიარაღებული და წესიერათაც ხმარობს იმ თოფებს, რომელიც ჩანხანიდგან იტენებიან. იყიდეს ვერეთვე 50 ათასი თოფი სწიღერისა; ძველ თოფებსაც ხალისებენ და ახალი თოფების მგზავსათ აკეთებენ; ამ გვართ გაზაფხუ- ლისათვის 60 ათასი კიდევ სხვა ახალი თო- ფები ექნებათ ქვეითი ჯარისათვის. პურს ბეერს ყიდულობენ; არზრუმს და შარსს, რაც შეუძ- ლიანთ, ამარებენ. მოსტანტინებოლიდგან მომავრულს მცირე (შაშანნი) ზარბაზნებს ეზიდებიან პატარა აზიაში. მრთი სიტყვით მსმალმთ თავი გადასდო ძლიერისომისათვის.

მსმალური გაზეთი „მუკბირ“. ამ ცოტა ხანში ლონდონში დაიწყეს გაზეთის გამოცემა ყოველ კვირაობით. მს გაზეთი, სახე- ლათ იწოდება „მუკბირ“ და ახალგაზდა მს- მალმს ორგანია. მს გაზეთი ძრეელ ჰკიცხავს ეხლანდელს ოსმალოს ხალხის მმართველო- ბას; უგვანო და ცრუ მმართველობათ იხსე- ნიებს. ამ გაზეთის 8 ნომერი აცხადებს, რომ ამ გაზეთის მსმალოში შეტანას უშლიან. ზამომცემელს გაზეთის საფუძვლათ აბუ-ბეკ- რის სიტყვები აუღია: „მთუ მე ისე ვიქცევი, როგორც რიგია, მაშ შემწეობა მომცით, დამხმარნით; და თუ უმგზავსია ჩემი ქცე- ვა, დამარცხო, ქეშმარიტ გაზზედ დამაყე- ნეთ“. ბავთში სწერს გამომცემელი: მთუ მა- შმადის სჯული ხალხს ნებას აძლევს, რომ თა- ვისს ცუდს მმართველებს ყოველი უფლება ჩამართოს, მაშ გაზეთს „მუკბირს“ ქეშმარი- ტად მართლ-მორწმუნეს უფლება უნდა მი- ეცეს, რომ ეხლანდელს მსმალმს მმართველებს რჩევა მისცეს და იმ რეფო- რმების მოხდენისადმი მისდრიკოს, რომელი რეფორმების აღსრულებაში მოყვანაშიაც ქე- შმარიტი მოთხოვნილება საჭიროებს.

მსმალმ. მსმალეთის საომრათ მო- მზადება. ბავთში „ნორდი“ ამბობს: მრთი კორესპონდენტი მოსტანტინებოლიდგან სწერსო, რომ ალიფაშსთან თორმე- ტი ბატალიონი მოსრული ჯარი ძანდიში ხელდაკრფილი არ გაჩერდება. ამ ჯარის- გან შეადგენენ მოძრავს დასტებსა, რომელ- ნიც კუნძულის გაყოლება გაიბნევიან და იმ- ოქმედებენ ისე, რამდენათაც ან ადგილი და ან ზამთარი მისცემს ნებას, ამასთანავე მთაე- რობა ორმოც და ათს ბატალიონს რედისის ჯარს ამზადებს სამართა, რომ იმით კიდევ განაძლიეროს თავისი ჯარი, რადგან არ იცის, როდის რა შეემთხვევა. მოსტანტინებოლის არსენალში ძალიან უმატეს მუშაობას; სამხე- ღრო სამინისტრო შაშანს ზარბაზნებს ამზა- დებს.

რი მხოლოთ ჩივიტა—მეკიპაში დორება, მი- ნამ რომის საქმეზედ მოლაპარაკებუ დადასწყ- დება. მერეთვე იტალიის ეკლესიის წინაშე თავის ადგილში. შკანასკნელს ომში ეოლოშ- ტერებს 200 მოქლომით და 400 დაქრილა.

— მრთი ბარიბალდის მომხრე აფიცერი თავის წიგნში რომელსამე მეგობართან ამბ- ობს: როდესაც ეოლოშტერებმა მონტონთან ომის დროს საომარი ასპარეზი ხელმოვრეთ დაიქრეს და პაპის ჯარი უკან გააბრუნეს, მაშინ იმათ მეფეველა შრანციის ჯარი.

ბავთში „Opinione“ ასახელებს იმ დასტე- ბის ნომრებს, რომლებიც პაპის ჯარს მიშვე- ლებიან მონტონთან ომის დროს.

ბავთში Diritto ამბობს, რომ ფრანკულებმა იკისრეს რომის პოლიტიკური და სამხედრო საქმეებო.

მუ—მოკამი, 24 ოკტომბერს (5 ნოემბ- ერს) ძალიფორნის და მირგინის შტატებში დეპუტატების ამორჩევის დროს სჯულის დამ- დებ კრებაში დემოკრატებს დარჩათ გამარჯ- ვება.

ხუარესის ხელმოვრეთ ამორჩევა მესიკის რესპუბლიკის პრეზიდენტათ—გამართლდა.

მუ—მოკამი, 25 ოკტომბერს (6 ნოემბერს). ნუ-იორკის და ნუ-სჯერსის შტატებში დე- პუტატების აღმორჩევის დროს სჯულის-დამ- დებ კრებაში გამარჯვება დემოკრატებს დარ- ჩათ. რესპუბლიკელებმა მხოლოთ მასსაფუე- ტში გაიმარჯვეს, რადგან ცოტა მომეტებუ- ლი ხმა იმათ მხარეს იყო.

მადრიდი, 25 ოკტომბერს (6 ნოემბერს). ისპანიის ელჩმა შლორენციიდგან აცნობა თა- ვისს მმართველობას, რომ იტალიის საომარს ხომალდებს უბრძანეს ბავილში მდგომს ის- პანიის გემებს ზარბაზნები ესროლონ, თუ ქვე- ითმა ისპანიის ჯარმა ნაპირზე გამოსვლა და- აპიროსო. ისპანიის კოროლევა ამაზედ ძრი- ელ შეწყუხდა და თხოულობს, რომ ისპანიის ელჩი შლორენციიდგან დაიბარონ. ამასედ საქმე ჯერ სრულებით არა გადაწყვეტილარა. ამ საქმის შესახებ კოროლევამ ბიარიცში მა- რშალს მდონელს წიგნი მისწერა.

წმინ. მომას კუნძული, 17 (29) ოკ- ტომბერს. საშინელი დიდი ქარი (ურაგანი) ადგა ზღვაში; 5 ცეცხლის გემი და 50 ნავი დაღუბა.

ლონდონი, 23 ოკტომბერს (4 ნოემბ- ბერს). ანგლო-ამერიკის კორესპონდენცია, აცხადებს, რომ აესტრიის სახელმწიფო კანც- ლერი ბარონი ბეისტი იმ განზრახვით წაიე- დაო ლონდონს, რომ იქაურს მთავრობის პირებს აუხსნასო აესტრიის პოლიტიკა იტა- ლიისა და აღმოსავლეთის საქმეების შესახებ. ბარონმა ბეისტმა უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრს ლორდს სტენლის გამოუცხადა, რომ აესტრია რომის საქმეში არ გაერევაო; მაგრამ თუ ამ საქმეზე კონვენცია შესდგაო, იმაში კი მიიღებსო მონაწილეობას. აღმოსა- ვლეთის საქმეებზე აესტრია და შრანცია ერ- თი აზრისანი არიან. ბარონი ბეისტის მოლა- პარაკებამ ანგლიის მთავრობა დააკმაყოფილა; როგორც სჩანს, ანგლია კი ჯერ არ დაიძე- რის.

— 24 ოკტომბერს (5 ნოემბერს). დღეს „ანგლო-ამერიკის კორესპონდენცი- აში“ სწერენ, რომ აესტრია ისე კმაყოფილე- ბით უყურებს ბერმანიის წარმატებას, როგორც იმის ახალს პოლიტიკას შეჭერის. ბერმანიის წარმატებას არ შეუძლიან შესცვალოს ამ ჟა- მად მშვიდობის მოყვარე აესტრიის განზრახ- ვა.

— შლორენცია, 15 (27) ოკტომბერს. ბარიბალდის მიახლოვება რომზე იმდენათ არ აქციეს საზოგადო ყურადღებასა, რამდენათ მთელი იტალიის დედა ქალაქების მღელვარე- ბა. მს მღელვარება რესპუბლიკური მოძრაო- ბის ნიშანია; ის ჯერ საიდუმლოთ ცხადდე- ბოდა, მერე და მერე კი უფრო ხმა მალდა აღმოჩნდა. რესპუბლიკის სურვილი მარტო

ბ ე ლ ე ბ რ ა მ მ მ ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.
შლორენცია, 24 ოკტომბერს (5 ნოემბ- ბერს). ბავთში „Gurriero Italiano“ სწერენ, რომ რაკი ეოლოშტერები დამარცხდნენ, შრანციის ჯარი რომიდგან გავა. მს ჯა-

დემონსტრაციებში, გაზეთების და ჟურნალების სტატიებში არ ჩნდება, არამედ ის ცხადდება ქალაქის წოდებების აღრესებში, რომლებშიც კარგად გარკვევით აგონებენ, რომ შენ ხალხის ნებით ხარო ამორჩეული და ხალხის სურვილისამებრ უნდა იმოქმედო; თუ არა, მაშინ ხალხი თავისებურათ მოიქცევა. მილანის დიდ ხალხს გროვაში უფრო აშკარათ აღმოჩნდა შემოხსენებული ხალხის სურვილი. აი ამ გროვაში რა გადასწყვეტეს: როგორც მთელი იტალიის ხალხი, მილანის ხალხიც აგრეთვე ფიქრობს, რომ კარგად დაუყოვნებლად უნდა წავიდნენ რომს; ამით ის განამართლებს ხალხის ამორჩევასა და ყოველს მოულოდნელს ცუდს შემთხვევას აცდენს იტალიის საკარგოდ იმით, რომ პაპიტალიის მალლობზე წარმოსთქვამს, მე ვარ სრულიად იტალიის პირველი კარგო. მილანის ხალხი დიდ უბედურებათ შეჩაცხავს შრანციასთან რომ იტალიის ხალხს რამი შეემთხვეს, მაგრამ თავის დამცრობას რამი უჩრჩევია.... ამ სურვილის ასრულებას მილანის ხალხი მიანდობს ნაციისგან ამორჩეულს გვამს იმ პირობით, რომ, ღმერთთან ნუ ჰქმნას, და თუ ვინცობა ამაში უთანახმოება მოხდა, მაშინ თვითონ ხალხი მიიღებს ისეთს განკარგულებას, რომ სამშობლოს სიკეთეს არა ეწეოს რა“.

მოსტანტინეპოლი, 25 ოქტომბერს (6 ნოემბერს). დიდმა ხელმწიფებმა პორტას რომ საკოლექტივო ნოტა გაუგზავნეს, ამის პასუხათ პორტამ იმ პროკლამაციაზედ გაულო ხელი, რომელი პროკლამაციაც დიდმა ვეზირმა კანდილებს გამოუცხადა ამ მოკლე ხანში. მსმალის მმართველობამ ძანდის კუნძულზედ დიდძალი საომარი სამზადისი გაგზავნა. როგორც ხმა ისმის დიდი ვეზირი ალიფა ერთ თვემდინ კიდევ დარჩება ძანდის კუნძულზედ.

პარიში, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). ზახეთში „Etendard“ სწერენ, რომ გუშინ მილანში ხალხი ამდგარა და სისხლის ღვრაც ყოფილა. ჯარმა შემდეგ დიდს მეცადინეობისა მღელვარება მოსპო. მსრეთივე უწყსოება მოხდა პავიაშიც, მაგრამ ისე ძრიელი არ იყო. პრც ერთი მარბაღლის შვილი დაჭრილი არ არის. ამბობენ, რომ ისინი შლორენციის ახლო იმალდებიანო. როდესაც მარბაღლის ატუსაღებდნენ, წინააღმდეგობა გამოაცხადა ამაზედ.

კოსტანტინეპოლი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). დანიას მიუღია ოფიციალური ცნობა, რომ მესტ-ინდიაში წმ. მომის კუნძული ქარს სულ აუოხრებია. ძლიერ ბევრი ხალხი დაღუპილა. ცეცხლის გემები: რომა და ში სრულებით დანთქმულან. სხვა ორი ცეცხლის გემი: პონე და ღერბენტი ნაპირზედ გაუროყავს. მრამოც და ათს იალქმნიან ნაევებს მაჩტები დაჰკარგვიათ.

კოსტანტინეპოლი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს) რუსეთის, პრუსიის, შრანციის და იტალიის დეკლარაციამ, რომელშიც აესტროამ მონაწილეობა არ მიიღო, ოსმალები ძრიელ გააჯვრა და ქრისტიანები გაამხნევა.

დიდმა ვეზირმა ალი-ფაშამ კანდილებს ახალი პროკლამაცია გაუგზავნა. იმას სურს, რომ კუნძული რამით დაიპყრას. ქუნძულზედ დიდ სისხლის ღვრაც მოვილიან.

მსმალის მმართველობამ აუკრძალა სკუტარიდგან პურის გატანა კუნძულზედ. მგრეთაქრძალა, რომ იქ საქონელი არავინ გარეკოს მპირიდგან. მესალონიკიდან და მკედლანიდან მს საზრდოების შოვნას გაძინელებს კუნძულზედ.

პორტა თანახმა ვახდა, რომ მოსტანტინეპოლში ფრანციულიზ სასწავლებელი გახსნან. იქ ისწავლის 300 ქრისტიანის ყმაწვილი და 300 მუსულმანი.

ტფლისში მიღებული.
პეტერბურლი, 8 ნოემბერს. ნოემბრის 6-ს დაიწყო შრანციის პალატის შეყრილობა. ტრონით სიტყვაში იმპერატორმა ნაპოლეონმა სთქვა, შესახებ ვერმანისა, რომ იქ მომხდარი ცვლილებები არ ემოქმარება არც შრანციის ინტერესსა და არც პატიოსნებასა და შრანცია არ უნდა ერეოდეს ვერმანის ცვლილებებში, რომელიც ხალხის სურვილითა ხდება. მხადათ გერცელელები რევოლუციური მოძრაობა საშიშრო მდგომარეობაში ავდებს პაპის სამფლობელოს. შრანციამ რომში გაგზავნა ჯარები, რომელნიც მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ, გამობრუნდებიან. სეკტემბრის კონვენცია შრანციისთვის დაიცავს თავის ძალას, მანამდისინ ხალხთა ურთიერთობრივი სხვა გარეგება არ შესცელის ამასა. ხელახლათ დაბრკოლების განსარინებლათ სახელმწიფოებს წინდაუდევით კონფერენციის მოხდენა. სახელმწიფოთ მშვიდობიანობამ მსმალეთის საქმეებს წართვა საშიშრო ხასიათი. შეელა სახელმწიფონი თანხმანი არიან ორ პუნქტის შესახებ, რომ მსმალეთის სახელმწიფო მთლათ დარჩეს და ქრისტიანების მდგომარეობა გაუკეთესდეს. ვენიდან მოსულ ამბებით სერბიის და მსმალეთის მიმართობას საშიშრო ხასიათი მიუღია. სერბიას გაუგზავნია მსმალეთისათვის ულტიმატუმი (პოლიტიკაში უკანასკნელი სიტყვა). პორტა ბონიაში ჯარის სამზადისშია. მოსტანტინეპოლში სამინისტროში ცვლილების მოხდენაზე ხმა დავარდა.

პეტერბურლი, 7 ნოემბერს. მმერ ფაშა ძანდიდგან დაბრუნდა მოსტანტინეპოლში; იმის მაგიერი ძანდიაში მსმალის ჯარის წინამძღვარი იქნება ჰუსეინ-ფაშა. წინა-წყობა ანგლიის საექსპედიციო კორპუსისა, რომელიც აბისინიაში მიდის, გადმოხდა გემებიდგან წითელი ზღვის ნაპირასა.

პეტერბურლი, 10 ნოემბერს. ანგლიის პარლამენტის გადების დროს ტრონით სიტყვაში მოხსენებულა, რომ კაროლევა არა ჰხედეს ევროპის მშვიდობიანობის დარღვევის მიზეზსა. აბისინიის ექსპედიციის აზრი მხოლოთ ის არის, რომ ევროპიელი ტყვეები განთავისუფლოს და ანგლიის გვირგვინის პატივი დაიცავს. შრანცულების რომში ექსპედიციაზე მოხსენებულა, რომ იმპერატორის ნაპოლეონის ჯარის გაგზავნის აზრი აღსრულდა და იმედია ჯარი მალე გამოიყვანონ, რომ იტალიასა და შრანციას შუა დაბრკოლებისა და უთანხმოობის მიზეზი განერინოს. ბრაფმა ღერბიმ, ლორდმა სტენლიმ გამოაცხადეს პარლამენტში, რომ რომის საქმის შესახებ კონფერენციის მოხდენისათვის მრავალი დამბრკოლებელი მიზეზები აღმოსჩნდება, თუ მტკიცე პლანი არ იქნება დადებული, რომ უმთავრეს განტერესებულ მხარეებს შეეძლოთ იმისი მიღება.

წარსული და მიმავალი ინგილოვების ცხომარება.

ზარდა ეკლესიებისა მარაში არიან მრავალნი შენობანი და ციხე-დარბაზნი. ამათში შენობის ციხე-დარბაზნი. ძედლის გავლებს მარა დედოფალს აბრალბენ. ის არის დაწყებული ბულლეფიდან და მიდის ბელაქანამდე. სიგძე იქნება 70 ვერსი და სიმაღლით არის სამ არშინ ნახევარი. ზოგიერთ ალაგს შიგადა შიგ კოშკები აქვს. მრთი ამათგანი ეხლა ხანს თალაღელებმა (ლეკებმა) დაქციეს. მსენი ისე მაღალი არიან, რომ კაცი უკიბოთ ვერ ავა. ჩვენ საქართველოში არსად უნდა იყოს ამ გვარ ეგვიპტური შენობა, რომელზედაც, ეინ იცის, რამდენი ათასი კაცი ამოწყვეტილა მეფეების მოწყალებით, რომლებსაც, ვგონებ ხალხი სხვა ფრიგ ვერ უწოდებდა, როგორც ზეცილამ მოვიღინებულს ლეთის რი-

სხვათა.—ჭურმუხის ციხე-დარბაზნი თითქმის უცნებლათ არის შენახული. ის იმყოფება ძახის თავში, ილისოს გზაზე, სოფლის ალჩაის გასწვრივ; ჭურმუხის წყლის ნაპირზე. ამ სასახლეს გარს ავლია გალაფანი. მახუშტი თავის გეოგრაფიაში ამაზე ასე ამბობს: „ჭურმუხის წყალზე არის სიმაგრე, დიდი შენობა და აწ სახელი ალი-სულთნისა“. (მტკობა ალი-სულთანი ყოფილა მის დროს სულთანად და აქ მდგარა). იქნება ამ სასახლეშივე მდგარიყოს მახტანგ ზარგ-სლანის შვილი ღაჩი, შემდეგში არჩილ 11. მრისთაეები და უკანასკნელს თვით მახვანიშვილიცა. მე ამ აზრს იქიდგან მოვიდვიარ, რომ ამ დროს უკანასკნელს გარდა, აქ და მთებში ქრისტიანობა გავრცელებულა, და ახლაც ამ ალაგსა ჰქვიან აზნაური, რომელიც ყოფილა ძახის ნაწილი; მაგრამ ის დროების განმავლობაში მოახრებულა.

ზარდა ამიებისა მახუშტი თავის გეოგრაფიაში, როდესაც შეუდგება ძახის აღწერას, ამბობს: „იტყვიან მოვიდა მახვანიშვილი წინაშე შაბაზისა ქარონიკოსა 1587, ქართულს 275, გამაჰმადიანდა და მოსვლას მრევენს მიუღო (ესა?) და დასვა იგივე აქა.“


მაგრამ ამაში მახუშტი, როგორცა სჩანს, იქნეულგებს, რისა გამო მას მოხსენებული სიტყვები ბრჩილებში აქვს ჩასმული. მაგრამ მე კი ნამდვილათ მიმჩნია ეს ფაქტი. შინაღაცა პოლოკენიკი მოცეპუ პირველი აგროვებდა სტატისტიკურს ცნობებს ზაქათალის მარაზე 1820 წელიწადებში, და აი იმან რა სთქვა, იმ დროების ქარელ ლეკების ნამბობით: „როდესაც საქართველოს სამეფო მისუსტებულა, მაშინ მარაში ლეკებს დარჩენიათ ბურთი და მიეღანი. მათ დაუქერიათ სრულიად ბურჯისტანი (შლისენი). ბურჯისტანის მიჯნა იწყება ბელაქანიდან ვიდრე შაფჩაიამდე; ხოლო ილისოს სასულთნოსი, შაფჩაიამდე ვიდრე შაკის მიჯნამდე—შანციობიმდე. მთელის ბურჯისტანის დაპყრობის ჟამს ილისოს სასულთნოს ერისთავი ყოფილა ქართველი. იმას ძლიერ შეშინებია, რომ ლეკმა მას საერისთავო არ წართვას. ამ შიშისა გამო იმას პირობა მიუცია ლეკებისათვის თავის გამაჰმადიანებისა და თავის სამფლობელოში მცხოვრებ ქართველების გაღვებისა, თუ ისინი მას ერისთავობას არ წართმენ. ლეკები იმაზე, ამბობს მოცეპუ, პირველი დათანახმებიან და მას დარჩენია ისევე ძახის ერისთავობა.“

იქნება ამ დროსვე ინგილოვების მამაპაური სახელი „ქართველი“ ინგილოთ იყოს შეცვლილი. ბურჯისტანის ქართველებს კი, როგორცა სჩანს მოცეპუს ნამბობიდგან, ამათზე წინ მიუღიათ მუსულმანობა. ინგილო წინავეს კათაკმეველსა.

რამდენ ხანს ყოფილა ეს ერისთავი ქარელ ლეკების მხედველობას ქვეშ, ვიდრე ყენს გამოცხადებოდა, ეს ცხადი არ არის. მაგრამ ნამდვილათ კი სჩანს, ამ ერისთვის მოქმედებდგან, რომ ის ვერ დარწმუნებია ქარელ ლეკებს, შინებია მათი, და ამისთვის პირველ მარჯვე დროს, გამოჰცხადებია შაბაზ ლიდს, მიუღია მუსულმანობა ალიას სეკტის წესით და უთხოვნია რაყამით დამტკიცება ერისთავობისა. მაგრამ, რადგანაც ეს ტერიტორიის ნაწილი ძახეთის სამეფოს ეკუთვნოდა, ამისათვის ის ჯერ უნდა ჩამორთმეოდა ძახეთის მეფეს, ალექსანდრე მე II-ს, და მერე იმაზე და მტკიცებული ყოფილიყოს. ასეც მოქცეულა შაბაზნი. 1616 წელს ის შემოადგა ზანჯის ციხეს და აქ დაიბარა თავის ჯარით ალექსანდრე მეფე ძახეთისა და მეფე ზიორგი, მართლისა. მეფენი მობრძანდნენ და მათმა ჯარმა მას ჯარს არ დააცალა და ერთით დაიპყრო ზანჯის ციხე. ამას შემდეგ მათ ეგონათ, რომ შაბაზნი მათ უხვიერთ დააჯილდოებდა, მაგრამ ნაცვლად ამისა სთხოვა იმათ, რომელიმე სამეფოების ნაწილების დათმობა. მეფეები ამაზე ვწინააღმდეგნენ, მაგრამ ვერა გააწყეს

რა. შაბაზმა წართვა მეფე ზიორგის ლორის მარა და უბოძა ვილაცა ქვეყნის ქვეთლელ თავადს, რომელიც გასულ წელს დადიდა დაასმინა ზიორგი მეფე შის წინაშე. ზიორგის ამის მაგიერათ დაუწინა სამასითუ-მანი ფული. ალექსანდრე მეფეს ძახეთისას ჩამოართვა ძაკი და ნაცვლად ამისა დაუწინა შევიდასი თუმანი ფული. შინ დააყენა ამას შემდეგ იმან ძახის მთავრად, ეს არ სჩანს. მართლის ცხოვრებაში, ალექსანდრე მე II-ს ისტორიაში არის მხოლოდ მოხსენებული, რომ შაბაზმა ალექსანდრეს ძაკი ჩამოართვაო. მაგრამ ეს ნაკლულევენება „მართლის ცხოვრებისა“, ჩემის აზრით, არის შეგებული მახუშტისაგან. ის, თუმცა იქნეულგებს, მაგრამ გავონილს შინც ისხენიებს და ამ პირს მახვანიშვილს უწოდებს. აი ეს კაცი, ვგონებ, დაუსვამს შაბაზს ძახის სულთანად. მს პირი თავის გამაჰმადიანებამდინაც აქ ერისთავთ ყოფილა, მაგრამ ქარელ ლეკების მხედველობას ქვეშ, როგორც ამტკიცებს ამას ქარელების გდმონაცემი ნამბობი მოცეპუ I-სგან; და აი ამისათვის მიუცია მათთვის ახლაც ბრძანება, რომ მათ თვალყური ადევნონ მახვანიშვილის მოქმედებას. მს სჩანს მახუშტის სიტყვებიდამ. ის ამბობს: „... და მოსვლას მრევენს (1587 წ.) მიუღო (?) და დასვა იგივე (მახვანიშვილი), აქა“. „იგივე აქა“ ნამდვილათ ამტკიცებს, რომ ის აქამდინაც ძახის ერისთავი ყოფილა. სადღა ყოფილა ეს ძაკი? ან სად არის?

მახუშტის გეოგრაფიაში ძახის აღწერილამ სჩანს, რომ ძაკს უწინ ვითომც ზიში რქმეფია. მაგრამ სად ყოფილა, ან სად არის ეს ზიში? მს ზიშია მართლაც ძაკი, თუ ძაკი სხვა არის? ამას კარგათ არ აცხადებს. მასაკვირია, რომ ის თავისი აღწერის საგნად ძაკს და შლისენს იღებს, მაგრამ აღწერაში ძაკს ერთხელ არ იხსენიებს და მის მაგიერათ ქვემდებარეთ ჰხდება ზიში. მს საქმე ძლიერ უკვირს აგრეთვე ბროსესს. ამისა გამო, რადგან გეოგრაფი თავის აღწერის საგნათ ძაკს და შლისენს იღებს, მაგრამ მას არაოდეს არ იხსენიებს, და ამის გამო, აღწერის ქვემდებარეთ ზიში ხდება, შეიძლება მრავალმა იფიქროს და სთქვას: ეს ერთის მხრით იმას აჩვენებს, რომ ზიში არის იგივე ძაკი, ხოლო მეორე მხრით,—რომ ძაკი არის ახლად წოდებული სახელი ზიში-სავე, ხოლო ზიში ძველებურა. შ. ბროსესც ამბობს, რომ ძაკი ახალი სახელი არისო, მაგრამ ეს ძაკი ზიშია თუ არა, ამაზე არაფერს ამბობს, რადგან ვერ ბედავს სთქვას, რომ ამ გვარი მოსაზრება, როგორიც ჩვენ წარმოვადგინეთ, საქმაო იყოს დასამტკიცებლათ, რომ ძაკი ძველებური ზიში არის. ძაკის ძველებური სახელი „მინ-ველუ-თორაღა“ ყოფილა და არა ზიში. მაგრამ არ ვიცი „დროების“ რედაქციამ ძაკს ზიში რათ დაარქვა. ამის საფუძვლებიც არ აგვიხსნა. ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ მას ეს დამტკიცებინა, რადგან ძაკის გარეშემოტრიალებს ისტორია მთელი ზაქათალის მარაში მცხოვრებ ქართველებისა, ანუ ინგილოვებისა. ზარდა ამისა იქმნება იმის მიზეზებიც წარმოგვიდგინონ: რატომ გეოგრაფმა აღწერის სათავეში ზიში არ დასვა და რა მიზეზია, რომ სახელი ზიში ძაკათ შემსცვალა. იტყვიან ისინი: რადგან ახალი სახელი ზიშის სოფლისა ყოფილა ძაკი და ეს ახალი სახელი ჩვენთვის უფრო გასაგონი იყო, ვიდრე ძველი, ამისათვის, აღწერის სათავეში გეოგრაფისაგან ძაკია დასმულიო, და არა ზიში. მაგრამ ამ გვარი მსჯელობა, ჩემათ, შინც და შინც უსაფუძვლო იქნება. ისტორიული ზიში არის რუხის დასავლეთ მხარეს მთის ძირს ხეობაში, როგორც ძაკი. ამ სოფელს ცხლაც ზიშს უწოდებენ და შიგ არის დიდი გუმბათიანი ეკლესია, რომელშიც დღევანდლამდე არ არის შეწყვეტილი ღვთის მსახურება და ჰმის სომხის არხიმანდრიტი. ძაკში არაფერია ამ გვარი, თუმცა იმაში და იმის მთის



ძირებში თითქმის ორმოცამდე ეკლესიას დასთვლით. მახუშტისაგან შეცდომით არის მოხსენებული მიწის დაქვის და მლისენის აღწერაში. ძაკი მშენებელი ქალაქი ყოფილა. თუ ასე არ ყოფილიყო ამდენი ეკლესიები აქ არ იქნებოდნენ, ამისათვის, რომ უბრალო სოფელში ამდენი ეკლესიები საჭირონი—აბა რათ იქნებოდნენ. მის ქალაქობას ამტკიცებს შენობაებზე, რომელნიც უწინ ბაზარს შეადგენდნენ და ხალხის გადმონაცემი. ის ამბობს, რომ ძაკი უწინდელ დროში ქალაქი ყოფილიყო, მცხოვრებნი ძლიერ ბევრი ჰყოლია; ამისა გამო ქალაქი დიდია, და სახელი მისი ყოფილა მინ-ველე-თორადა (თათრულია: მინ—ათასი, ვე—სახლი, თორადა კო—მლი), ესე იგი მკვიდრი მცხოვრებლები რიცხვით ათასი კომლი ყოფილა, და ამით არაფერი ხარჯი სდებიათ, გარდა ერთი და ორი შაურისა, ესე იგი სოფლის ნახევარი სახელმწიფოთ ერთ შაურს ხარჯს აძლევდა, ნახევარი კი ორსაო. მაგრამ მართალია ეს ხალხის გადმონაცემი მართალია. ამას ამტკიცებს ძაკის ბაზარი, რომელიც აი რამდენიმე საუკუნეა, რაც არსებობს, გარდა ამისა ძაკის ერთ ნაწილს, სადაც სოფელი მოახრებულა, ეხლაც აზნაურს უწოდებენ, როგორათაც მაგ. შარი აზნაურების რეზიდენციათ იწოდება. ეს ერთის მხრით იმას ამტკიცებს, რომ ძაკი მართლაც ქალაქი ყოფილა, მეორეს რომ ის ბევრისა და ხარჯისაგან ახალი ყოფილა ამისათვის, რომ მას არ უშვია ღალატის ბურხან-ღაღები ილისოს ხეობიდან საქართველოში შემოსაფენათ. აი ამ უკანასკნელ აზრზე რას ამბობს თვით ხალხი ძაკისა და სოფლის წახურისა, რომელიც ილისოს ზევით მთაში არის.

ძაკელებიც და წახურელებიც ერთ ხმით ამბობენ, რომ ჩვენ ორივენი ძმები ვართ. პირველი მკვიდრი მცხოვრებნი ამ საქათლის მახრამში ქართველთაგან ჩვენა ვართ, და ჩვენა მიწები მთის ძირას-გაყოლებული ძახის ხეობიდან ვიდრე შაფიჩაამდე. უწინდელ დროს ძლიერ დიდი შიშინობა ყოფილა, ამბობენ ისინი და ამ ძახის ხეობიდან საქართველო ძლიერ უწუხებია ლეკსაო. ამისა გამო საქართველოს მეფეს მოუყვანივართ (არ იციან როდის) ჩვენ წახურელები და კახელები და ამ ხეობის ყბაში დაუსახლებივართ, რომ, რა არის, ლეკის ჯარი ღალატნიდამ მომავალი შევიკაოთ. ამ სამსახურისათვის გაუთავისუფლებივართ ჩვენ ხარჯისა და ბეგრისაგან, და უტუქებია მიწები შაფიჩაამდე დაწყებული, ვიდრე წახურამდე. მერე ჩვენ ერთმანერთში გავეყვით. ილისოს ქვეით რაც მიწები ყოფილა, ვიდრე შაფიჩაამდე, კაკელებს რგებიათ; ილისოს ზვით წახურამდე კიდე ჩვენ. მაგრამ შემდეგში, ყიზილბაშს რომ დაუპირა ეს ქვეყანა, მაშინ ჩვენ მუსულმანობა მიგვიღია, კაკელებს კი არა. ამისა გამო ღალატნიდამ რომ შეუწუხებიათ კაკელები, მაშინ, მათ სულთანს კაკელების პირობით, ჩვენი სოფლები დაუსახლებია შუმისა, ლეკეთისა და ზერნის მიწებში, რადგან წახურნიდამ მოყვანილ ჯარის სახლებში შენახვით კაკელები შეუწუხებულან; მაგრამ იმ პირობით, რომ როდესაც მათ ლეკის ჯარი თავს დაეცემოდათ, მაშინ ჩვენებს ეშველნათ მტრის ფრთხილებად. ას წელიწადზე მეტი არ იქმნებოდა, რაც ეს დასახლება მომხდარაო.

საიდგან ვიცი მე ეს ყველაფერი? ღა შეიცავს რამე ჭეშმარიტებას? იქიდან, რომ გულუგელები, რომელნიც შთამომავლობით ლეკები არიან, წადანენ სოფელს ზერნას, რომ მიწა, რომელიც ცხოვრებს ეს სოფელი, ჩვენი არისო. მს დავა, რომ შეიტყეს წახურელებმა, რადგან ზერნელებთან შთამომავლობითი ნათესაობა აქეთ და ერთ სოფლიდან გასულნი არიან, წამოეკომანენ მათ გულუგელებს წინააღმდეგ; და აი რომ გაამტ-

ყუნონ ისინი, წახურელებმა გამოუცხადეს მთავრობას მოხსენებულ დავის გადაწყვეტათ დოკუმენტი, კაკელებისა და ძაკის სულთნისაგან მიცემული მე XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

1866 წელს მთების მახრამის ნახალნიკა დაიარა ეს საქათლის მახრა. ამ დროს წახურელებმა იმასთან კიდევ იჩიეს, რომ მიწები, რომლებშიაც ცხოვრებენ სოფლები: ზერნა, ლეკეთი და შუმი ჩვენი და ძახისა არისო, და არა გულუგელებისაო. ამისა გამო ამ მიწების თაობაზე ეხლა ძლიერ ერთგული გამოდიება წარმოებს. მთავრობამ მოსთხოვა ზერნელებს მიწის შესახებ ყოველ გვარი დოკუმენტები, და იმედი გვაქვს, რომ ეს კახელების და წახურელების შორის მყოფი ქალაქი წარუდგინონ მას.

წახურელები, როგორც თვითონვე ამბობენ, შთამომავლობით ქართველი არიან, მაგრამ ჟამთა ვითარება რომ შეცვლილა, მაშინ მიქცეულან. რომ მართლაც ჩვენი მამაპაპა უწინ ქრისტიანები ყოფილანო, ამბობენ ისინი, ამტკიცებს ქვაზე ზედ წარწერილი, რომელიც წახურის სასოფლო მეჩითის ქვეთკორში არის ჩატანებული. იმათ ქართველობას შთამომავლობით ისიც ამტკიცებს, რომ ისინი სადაც საქმეებში ყოველთვის ეკომანებიან კაკელებს იმ საფუძველზე, რომ ჩვენ ერთნი ვართო.

სახელი ძაკი ისტორიაში იხსენება 1616 წლიდან. მას აქეთ ის იხსენება ისტორიაში. მახუშტი მრავალჯერ იმეორებს იმას, როდესაც აღგენს შემთხვევების ქორანიკონს. როგორცა სჩანს ამ ქორანიკონიდან მეფე მეიმურაზი და მეფე ირაკლი მე-II მრავალჯერ ყოფილან ძაკში. ძაკის სულთნებს ამათთან მეგობრობა ჰქონიათ, რისაგანო ისინი ერთმანერთს არამც თუ არ ერჩოდნენ, არამედ შევლოდნენ მტერთან ბრძოლაში. აგრეთვე მრავალჯერ იხსენება ძაკი პაპუნა ორბელიანისაგან დაწერილ მე XVIII საუკუნის მატრიანეში.

ჩვენ ვიხილეთ, რომ შაბაზმა ძაკი ალექსანდრესაგან იყიდა შეიდას თუმნის წელიწადში ძლივით. თუ ეს ასეა, მაშ ძლიერ გასაკვირია, ამის შემდეგ, მეფე ირაკლი II თავის სამეფო ტიტულში ძაკის მთავრათ რაღათა იწოდება. მს ფაქტი მე მაძლევს კიდევ ერთ დამტკიცებას იმ აზრისა, რომ პირველი სულთანი, რომელიც დასვა შაბაზმა, ყოფილა ქართველი. მაძლევს აგრეთვე მიწებს სხვა მოსახრებისას და გასაღებს ხალხის რომელიც ისტორიულ ცხოვრების მოვლინების ახსნისას.

ნამდვილათ ვიცი, რომ შემდეგ შაბაზისა დასევს სპარსეთის შაჰთ ნადირი. ნადირ შაჰისეთი მტერი არ ყოფილა საქართველოსი, როგორათაც შაბაზი. მის ზოგიერთ მოქმედებისაგან თითქმის ისიც კი მოჩანს, რომ მას წმინდის გულით ჰყვარებია მეფეები. მს კეთილ-მადრეკილება მეფეებისადმი მე იმას მააზრებს, რომ იმას უთუოთ მეფეების თხოვნით ეს ძაკი, შაბაზისაგან ჩამორთმეული ალექსანდრე მეფისათვის, ან ისევე სრულებით დაუბრუნებია ძახეთის სამეფოსათვის, ან ირაკლისათვის დაუმორჩილებია მისი სულთანი და მიუნიჭებია ტიტული ძაკის მთავრობისა. მს დასაჯერია უფრო იმისთვის, რომ ნადირი შაბაზისა და ქარელებისაც მტერი იყო. სხვაფრთვ არ შეიძლება ვიფიქროთ და არც აიხსნება, რისთვის ირაკლი იწოდება ძაკის მთავრათ, და ილისოს სულთანი ჩვენ გვეცხადება თითქმის ირაკლი მეფის ვასალათ. ბოლოს და ბოლოს აქედან მე ის გამოიყვას, რომ ძაკის შაბაზისაგან წართმევის შემდეგ, სულთანი ჯერ ქარელების ზედამხედველობას ქვეყნოფილა, მერე ირაკლისა, და უკანასკნელს, მეფის სიკვდილის შემდეგ, ქარელებს ისევე

სრულებით დაუმორჩილებიათ, მყოფი ალისულთნის დინასტია გამოუცვლიათ და ნაცვლათ მისა დაუსვამთ სულთანად უკანასკნელი სულთნის დანიელ ბეგის მამა, ამაღ-ხანი. ამ გვართ აქ უსულთნია სამ დინასტია: მახეახანი შეილისას, ალი სულთნისას და ამაღ-ხანისას. პირველ დინასტიადამ ამ ჟამათ არიან დარჩენილი შაზიბეგები, რომელნიც ცხოვრებენ ლეკის სოფელში მშურჯანოში. ამით დაუკარავთ მამაპაპური ენა, სარწმუნოება და თავადობის ღირსება. მე ვფიქრობ, რომ მახეახანი შეილის დინასტიადამ, რომ შეწყვეტილან სულთნები და მის სამფლობელო ალი სულთნის დინასტიას დარჩენია, მაშინ ტახტი სულთნებისა ილისოში გადუტანიათ და ძაკის სასულთნოსათვის ილისოს სასულთნო დაურქმევიათ, რომ რა არის ამოფხრან ძაკის სახელი ხალხის მესხიერებიდამ, რადგან იქ ქართველი სულთნები მსხდარან. მას აქეთ ძაკის სასულთნო დანიელ-ბეგის რუსეთისათვის ღალატობამდე ილისოს სასულთნოთ იწოდებოდა. ამას ამტკიცებენ აქაური ბეგები და თვით პოლკოვნიკი ჰაი-ალაქა. მს პოლკოვნიკი ამბობს, რომ მე თათრულს ენაზე დაწერილი საქათლის მახრამზე ისტორიული მატრიანე მაქვსო, და ესეები ყველაფერი აქაც არის მოხსენებული. მეორედამ არიან რამოდენიმე კაცი, რომლებსაც ალი-სულთან-უმალს უწოდებენ. ამ გვარს იხსენიებს თვით მახუშტიცა. მესამედამ დარჩენილა მხოლოდ დანიელ-ბეგი და ხალილ-ბეგი. ამათ ამაღ-ხან-უმალის უწოდებენ. წარსულს წელიწადს ხალილ-ბეგი დანიელ ბეგის უკანასკნელის სულთნის, ძმის წული მეწვიეა და მე იმას განგებ ვუთხარ, რომ ის მამაპაპით ქართველია და გვართ არის მახეახანი შეილი. ამაზე იმათ არაობით მიპასუხა, და ზედ დაურთო, რომ მახეახანი შეილები ჩვენ კი არა ვართო, შაზიბეგები არიანო. მაგრამ ეჭვი აღარ უნდა იყოს, რადგან მესამე დინასტიის წევრი მოწმობს, რომ მახეახანი შეილები შაზიბეგები არიან.

1842 წელს დანიელ სულთნისთვის მთავრობას აქაური ბეგების სია მოუთხოვნია. ამისა გამო, როგორც ამბობენ, ყველასათვის გამოუთმევი კეთილშობილების დიპლომები. პირები საქათლაში წარუდგენია, ორიგინალები კი ღალატნიდამ, გადახვეწის ჟამს, თან წაუღია, და იქ სულ დაუღუპავს. ამათთან ერთობ არის წადებული მახეახანი შეილების (შაზიბეგების) დოკუმენტებიცა, მაგრამ სააში არ ჩაუწერია ესენი და ამისთვის ეხლა გლეხ-კაცებში არიან შერაცხულნი.

ამას შემდეგ თუქა მე ეჭვი აღარა მაქვს, რომ ძაკი ქალაქი ყოფილა და პირველი დინასტია იმის სულთნებისა ყოფილა ქართველისა, მაგრამ ერთ დამტკიცებას კიდევ მოვასხენებ მკითხველს შესახებ ქართველის დინასტიისა. ამის წარმოდგენისათვის ჩვენ უნდა ვიკითხოთ: რა იყო მიზეზი იმისა, რომ ძაკის სასულთნოში მცხოვრებ ქართველებმა არ დაგარგეს არც მამაპაპური ქართული ენა, არც ვინაობა და არც სარწმუნოება, როდესაც რომ ქარის მიწაში და შაკი-ხიში მცხოვრებ ქართველებმა ესეები სრულებით გააუქმეს? ამის მიზეზი, ჩემის აზრით, 1-დ ის იყო, რომ მახეახანი შეილის შთამომავლობას დიდი-ხნობამდე ძაკის მიწა-წყალში უსულთნია. მე როგორც ვფიქრობ ესენი პირათ მუსულმანები ყოფილან, მაგრამ გულით კი ქართველები. ასე იქცეოდნენ, ზოგიერთნი, საქართველოს მეფეებიცა. ასე მოქცეულან მათთვის მიხედვით მახეახანი შეილებიცა, სულთნები მალევე მფარველები ყოფილან თავის ერთ ტომი ქართველებისა და მათი სარწმუნოებისა. მათ, როგორც ახენებენ რომელიმე მოვლენაები, თუმცა მუსულმანები ყოფილან, მაინც დიდი თასიბი უსწავიათ ქართველებსა. აი მიზეზი, რომლისა გამო ილისოს სასულთნოში მცხოვ-

რებ ქართველებს არ დაუკარავთ არც ენა, არც ვინაობა და არც სარწმუნოება? მხოლოდ-ში, შურჯისტანში გინა შაზიბეგები [ქვ] შაკი-ხიში მცხოვრებ ქართველებს კი გაუუქმებიათ ყოველი ფერი თავისი მამაპაპის საკუთრება, ამისთვის, რომ წინაპირელოთვე ისინი მამაპაპების ელემენტის გავლენას ქვეშ მოჰყოლიან. მე 2-დ ისა, რომ მამაპაპის სარწმუნოების სასულიერო პირებს ნება არ მიუტიათ ინგილოებისათვის გამუსულმანებისა. ამბობენ ვითომც სულთანს, ამაღ-ხანს, ეთქვას ინგილოებისათვის: „მე შემიტყვია, რომ თქვენ არც ერთ სარწმუნოებას არ აღიარებთ. მს ამ გვართ დარჩენა კარგი არ არის. ამისათვის მე გიბრძანებთ, რომ ჩემს საბრძანებელში ყველა ინგილოს სოფელმა მეჩითები უნდა აიშენოთ და მამაპაპს ემსახუროთ. ინგილოები მზათ ყოფილან, რომ აღასრულონ ბრძანება სულთნისა, მაგრამ მამაპაპების სასულიერო წოდებას გამუსულმანების ნება არ მიუტია მათთვის. იმას უთხოვნია სულთნისათვის, რომ ისინი არ გამუსულმანოს. თუ ისინი გამამაპაპიანდნენ, მაშინ მათგან ხარჯის აღება ცოდეა იქმნებოდა. ჩვენი სარწმუნოება ნებას არ გვაძლევსო, რომ მუსულმანმა მუსურმანისაგან ხარჯი აიღოსო.“ მაშინ მას ხელმოვრეთ უბრძანებია ინგილოებისათვის, რომ მათ დაანებონ მეჩითის შენებას თავი და იცხოვრონ უწინდებულათ მამაპაპის კვალობაზე. ამ გვართ გადასვლა გადმოსვლას ისე გაუგრილებია ინგილოებისათვის გული, რომ მათ არც ერთი სარწმუნოება არ უყვართ. მე 3 მიზეზი, რომელსაც დაუტყეს ინგილოებში ქრისტიანობა, ყოფილა მეფეების კავშირი აქაურს სულთნებთან და დედა-კაცების მკითხაობა, რომელთაც ეხლაც დიდი გავლენა აქეთ მახრამში. მსენი არიან მიზეზები, რომლისა გამო კაკელებმა და აქედან წარმომდგარმა სოფლებმა არ დაჰკარგეს არაფერი თავისი ნაციონალური.

აბა ახლა შევიკრიბოთ ეს დამტკიცებები და ვნახოთ რაები და რა თვისებისანი არიან. რომ პირველი დინასტია ქართველ კაცისა, მახეახანი შეილისა ყოფილა ილისოს სულთნებისა, ამას ამტკიცებენ:

- 1., ის ქართველები, რომლებსაგანაც მახუშტიმ შეიტყო, რომ მახეახანი შეილი გამამაპაპიანდა და მიიღო შაბაზისაგან ილისოს სულთნობა; თვით იმან კი არც გამატყუნა და არც დაამტკიცა, მხოლოდ ეჭვი შეიტანა იმის სიმართლეზე.
- 2., მოცეხუ, პირველი სიტყვებით რომელიც მოგვითხრობს ქარელ ლეკებს ნამამობიდან, რომ, როდესაც პირველათ ქარელებს დაუქვრიათ მთელი ელისენი, მაშინ მრისთავი ძაკისა ყოფილა ქართველი, და იმას, რადგან მამაპაპიანობა მიუღია, ამისთვის ის აქვე ერისთავთა დაუსვამთ, ქარელებს.
- 3.,—ისა რომ მეფე მრეკლი მე II თავის სამეფო ტიტულში ძაკის მთავრათ იწოდება და სულთნებს მასთან მეგობრობა ჰქონიათ.
- 4.,—წახურელებისა და ინგილოების ერთმანერთის თანახმათ მოუბნობა, რომ ძაკის ბატონი ყოფილა ქართველი კაცი.

5., ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ილისოს სასულთნოში ქართველობა და ქართული ენა აქამდე დარჩენილა, სხვაგან კი არა.—

(შემდეგი იქნება).

ქართული წიგნების გაყიდვასა და წიგნების შეიძლება ყოფ. ძალანდარი შეილისას და ხელთუფლის შეილის მალაზიაში. ახლა გვაცნობებენ, რომ ქუთაისში ზოგიერთი წიგნები დაჰკლებიათ და მსურველნი მყიდველნი იმდურებიან. ამის გამო ამ ახლო ხანში, რამდენათაც კი შეგიძლია ვეცდებით წიგნების მყიდველების სურვილი დავაკმაყოფილოთ.